



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება №17/54

2017 წლის 28 ივლისი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/181 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

#### აღნიშნულიდან გამომდინარე:

##### მუხლი 1.

შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/181 განკარგულებაში, კერძოდ:

- ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების (შტატგარეშე მოსამსახურეთა) ოდენობის განსაზღვრის შესახებ“;
- ბ) განკარგულების პირველი მუხლი ძალადაკარგულად გამოცხადდეს.

##### მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

**მუხლი 3.**

განკარგულება ძალაშია “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილების ამოქმედებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი,  
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია